# Dimitri Nazarishvili and the Nazarishvili Family: A Cultural and Intellectual Center of Early Twentieth-Century Kutaisi

# დიმიტრი ნაზარიშვილი და ნაზარიშვილთა ოჯახი: XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის კულტურულ-ინტელექტუალური კერა

**Ketevan Goginovi**
Akaki Tsereteli State University
Doctor of Engineering Sciences
+995 597 42 24 42; ketevan.goginovi@atsu.edu.ge
ORCID ID-0000-0002-7298-6216
**Nato Pailodze**
Akaki Tsereteli State University
Assistant Professor
Doctor of Engineering Sciences
+995577625371; nato.pailodze@atsu.edu.ge
ORCID ID - 0000-0002-7298-6281

**Abstract.** The present study is devoted to Dimitri Nazarishvili, a distinguished Georgian scholar, physician-phthisiologist and philanthropist whose scientific and public activities profoundly influenced the social and medical development of Georgia during the late nineteenth and early twentieth centuries. The article examines his pioneering role in the establishment of Kutaisi's medical infrastructure, with particular emphasis on the founding of the city's first municipal hospital, the development of an antimalarial pharmaceutical preparation known as Nazarishvili's Drops and his substantial contribution to the development of the Tskaltubo spa resort as a therapeutic and balneological center.

Furthermore, the study explores the Nazarishvili family as an intellectual and cultural epicenter of Kutaisi, where many of the most eminent representatives of Georgian literary, scientific and public life regularly convened to engage in discussions concerning the nation's cultural and intellectual advancement. Particular attention is devoted to the pedagogical and translational activities of the family's eldest daughter, Elene Nazarishvili, whose work constitutes a compelling example of Georgian-European cultural dialogue and intellectual exchange.

**Keywords:** Dimitri Nazarishvili, Kutaisi, public contribution, the Nazarishvili salon, cultural heritage.

**ქეთევან გოგინოვი**
აკაკი წერეთლის სახელმწიო უნივერსიტეტი
საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი
+995 597 42 24 42; ketevan.goginovi@atsu.edu.ge
ORCID ID-0000-0002-7298-6216
**ნატო ფაილოძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი
+995577625371; nato.pailodze@atsu.edu.ge
ORCID ID-0000-0002-7298-6281

**აბსტრაქტი.** წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ექიმ-ფტიზიატრსა და ქველმოქმედს, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილს. სტატიაში გაანალიზებულია მისი ფუძემდებლური როლი ქუთაისის სამედიცინო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში, მათ შორის პირველი საქალაქო საავადმყოფოს დაფუძნება, მალარიის სამკურნალო პრეპარატის („ნაზარიშვილის წვეთები“) შემუშავება და წყალტუბოს კურორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი. ნაშრომი ასევე მიმოიხილავს ნაზარიშვილების ოჯახს, როგორც ქუთაისის საზოგადოებრივ-ინტელექტუალურ ეპიცენტრს, სადაც იკრიბებოდნენ ქართული კულტურის უდიდესი მოღვაწეები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოჯახის უფროსი ქალიშვილის, ელენე ნაზარიშვილის, პედაგოგიურ და მთარგმნელობით მოღვაწეობას, რომელიც ქართულ-ევროპული კულტურული დიალოგის ნათელი მაგალითია.

**საკვანძო სიტყვები:** დიმიტრი ნაზარიშვილი, ქუთაისი, ნაზარიშვილების სალონი, კულტურული მემკვიდრეობა, საზოგადოებრივი ღვაწლი

**შესავალი.** XIX საუკუნის მიწურული და XX საუკუნის დასაწყისი ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში აღინიშნა ჰუმანიტარული და სამეცნიერო პოტენციალის განსაკუთრებული აღმავლობით. ეს იყო ეპოქა, როდესაც საქართველომ, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის მიუხედავად, შეძლო ეროვნული ინტელექტუალური ელიტის ფორმირება, რომელიც ევროპული განათლებისა და ეროვნული თვითმყოფადობის სინთეზს წარმოადგენდა. ამ პროცესში ქუთაისი, როგორც დასავლეთ საქართველოს კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრი, ფუნქციონირებდა როგორც ინტელექტუალური ჰაბი. სწორედ ამ გარემოში განვითარდა დიმიტრი ნაზარიშვილის – ექიმის, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის – მრავალმხრივი მოღვაწეობა, რომელმაც ფუნდამენტური გავლენა მოახდინა რეგიონის სოციალური განვითარებისა და მედიცინის სისტემურ ჩამოყალიბებაზე.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს დიმიტრი ნაზარიშვილისა და მისი ოჯახის საქმიანობის კომპლექსურ კვლევას. კვლევის მთავარი ობიექტია არა მხოლოდ დიმიტრი

ნაზარიშვილის, როგორც სამედიცინო სფეროს რეფორმატორის ფიგურა, არამედ მისი ოჯახი, როგორც „ინტელექტუალური სალონის“ მატარებელი ერთეული. ნაზარიშვილების ოჯახი – მეუღლის, ტატიანა ანდრიუშენკოსა და ხუთი შვილის შემადგენლობით – ქმნიდა უნიკალურ კულტურულ სივრცეს ქუთაისში, სადაც ხვდებოდნენ ეპოქის ისეთი გამორჩეული მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ზდანოვიჩი და კირილე ლორთქიფანიძე. შესაბამისად, კვლევა ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას: რა როლი მიუძღვით ნაზარიშვილებს ქუთაისის კულტურული მეხსიერების კონსერვაციასა და რეგიონული მოდერნიზაციის პროცესში?

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ნაზარიშვილების ოჯახის ისტორია წარმოადგენს მიკროისტორიულ ჭრილში მთელი ეპოქის სოციალური ტრანსფორმაციის ანარეკლს. დიმიტრი ნაზარიშვილის მიერ დაფუძნებული „საექიმო-სამეცნიერო საზოგადოება“, მისი წვლილი წყალტუბოს საკურორტო განვითარებაში, მალარიის სამკურნალო პრეპარატის შექმნა და საზოგადოებრივი თავმჯდომარეობა ქალაქის თვითმმართველობაში, წარმოადგენს მეცნიერული პრაქტიკისა და მოქალაქეობრივი ვალდებულების იშვიათ ერთობას. ამავდროულად, მეორე თაობის – ელენე, ისია, ლარა, ლეონიდე და ვალერიან ნაზარიშვილების – საქმიანობა (პედაგოგიკა, კინემატოგრაფია, სამხედრო მედიცინა, დიპლომატია) ასახავს იმ რთულ გზას, რომელიც ქართულმა ინტელიგენციამ XX საუკუნის პოლიტიკურ კატაკლიზმებში გაიარა.

კვლევის ჰიპოთეზა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ნაზარიშვილების ოჯახი მხოლოდ ერთი წარმატებული ოჯახის მაგალითი არ ყოფილა, არამედ წარმოადგენდა იმ პერიოდის ქუთაისის მნიშვნელოვან კულტურულ და ინტელექტუალურ კერას, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა ქალაქის საზოგადოებრივ, სამეცნიერო და კულტურულ განვითარებაზე. აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი და ბიოგრაფიული ანალიზი, საარქივო მასალების, მუზეუმებში დაცული დოკუმენტების, გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ვიზუალური წყაროების კრიტიკული შესწავლა, რაც შესაძლებელს ხდის ნაზარიშვილების ოჯახის მრავალმხრივი მემკვიდრეობის ერთიან ისტორიულ კონტექსტში გააზრებას.

**მეთოდები.** კვლევა ეფუძნება ისტორიულ-ჰუმანიტარული კვლევის კომპლექსურ მეთოდოლოგიას, რომლებიც აერთიანებს კვლევის მეთოდებს:

ისტორიულ-აღწერითი მეთოდი, რომლის საშუალებითაც გაანალიზებულია დიმიტრი ნაზარიშვილისა და მისი ოჯახის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები, მათი საზოგადოებრივი, სამეცნიერო და კულტურული საქმიანობა.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით შეფასებულია ნაზარიშვილების ოჯახის ადგილი იმდროინდელი ქუთაისის ინტელექტუალურ გარემოში და მათი ურთიერთობები ეპოქის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან.

ბიოგრაფიული კვლევის მეთოდი და ისტორიულ-ბიოგრაფიული ანალიზი: რომლებმაც შესაძლებელი გახადა ოჯახის თითოეული წევრის ინდივიდუალური მოღვაწეობისა და საერთო კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთკავშირის წარმოჩენა, ასევე შესაძლებელი გახადა დიმიტრი ნაზარიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რეკონსტრუქცია.

საარქივო მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (არქივი 2176/346) დაცული დოკუმენტები და ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

სოციო-კულტურული ანალიზის საშუალებით განხორციელდა ოჯახის, როგორც „ინტელექტუალური სალონის“ ფუნქციონირების კვლევა.

წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შედარებულ იქნა სხვადასხვა პერიოდის სამეცნიერო პუბლიკაციები, მემუარული და საარქივო მასალები, რის შედეგადაც განხორციელდა ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტება და სისტემატიზაცია.

კვლევის ძირითად წყაროებს წარმოადგენს დიმიტრი ნაზარიშვილის შესახებ გამოცემული მონოგრაფიები და სამეცნიერო ნაშრომები, წყალტუბოს განვითარების ისტორიის ამსახველი პუბლიკაციები, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული დიმიტრი ნაზარიშვილის პირადი საარქივო მასალები, ელენე ნაზარიშვილის მიერ შედგენილი საარქივო დოკუმენტები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე დიმიტრი ნაზარიშვილის მემორიალური მუზეუმის ფოტო-დოკუმენტური მასალა. წყაროების ურთიერთშეჯერებამ უზრუნველყო კვლევის სანდოობა და ნაზარიშვილების ოჯახის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მრავალმხრივი წარმოჩენა.

**მსჯელობა: დიმიტრი ნაზარიშვილის საზოგადოებრივი და სამედიცინო ღვაწლი.** დიმიტრი ნაზარიშვილი დაიბადა ქუთაისში 1854 წელს. მათი ხუთშვილიანი ოჯახი უქიმერიონის გორაზე ბაგრატის ტაძრის მახლობლად ცხოვრობდა. მისი წინაპარი, დავით ნაზარიშვილი, ვახტანგ VI-ს გაჰყოლია რუსეთში, თუმცა პეტრეს ვაჟი – დიმიტრის მამა ალექსანდრე – სამშობლოში დაბრუნდა და აქ დამკვიდრდა.

დიმიტრი ნაზარიშვილმა პირველადი განათლება ცნობილ „მრევლოვის სკოლაში“ მიიღო ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, ხოლო გიმნაზიის დასრულების შემდეგ, 1873 წელს დიმიტრიმ სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში (სურ. 1). 1878 წელს აკადემიის დასრულების შემდეგ, იგი რუსეთ-თურქეთის ომში, დუნაის მოქმედი არმიის ექიმად გაგზავნეს, სადაც მძიმე ეპიდემიოლოგიურ პირობებში დააგროვა უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება. 1880 წლიდან დაბრუნებული ნაზარიშვილი ქუთაისის სამხედრო ლაზარეთის ორდინატორი გახდა და მთელი თავისი საქმიანობა მშობლიური ქალაქის ჯანდაცვას შესწირა. (გოგუაძე, 1960: 19).

პეტერბურგში მიღებულმა აკადემიურმა განათლებამ დიმიტრი ნაზარიშვილს საშუალება მისცა, სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაეწყო სისტემური ცვლილებები. მისი ინიციატივით დაარსდა „საექიმო-სამეცნიერო საზოგადოება“, ხოლო სამსონ თოფურიასთან ერთად გახსნა პირველი საქალაქო საავადმყოფო, რომელიც მომსახურებას უწევდა მთელ დასავლეთ საქართველოს. გარდა კლინიკური საქმიანობისა, ნაზარიშვილმა შეიმუშავა მალარიის სამკურნალო პრეპარატი, „ნაზარიშვილის წვეთები“, რომელიც იმ პერიოდის სამედიცინო პრაქტიკაში ძალზე ეფექტურ საშუალებად ითვლებოდა. ქოლერის ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით დიმიტრი ნაზარიშვილის მონაწილეობით ქუთაისში გაიხსნა დროებითი უფასო ამბულატორია, რომელიც მალე ქალაქის უფასო სამკურნალოდ გადაკეთდა და რომელსაც იგი 25 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ განაგებდა. 20 წელზე მეტ ხანს იყო ქუთაისის თეატრის ექიმი, 33 წლის მანძილზე რკინიგზელთა ჯანმრთელობის საქმეს ემსახურებოდა. აღსანიშნავია მისი როლი

წყალტუბოს როგორც საკურორტო ზონის განვითარებაში. გამოსცა ნაშრომი „წყალტუბოს მინერალური წყლები და მათი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა“. კურორტის პოპულარიზაციისა და ინფრასტრუქტურული მოწყობისათვის მან უდიდესი საორგანიზაციო საქმიანობა გასწია.

აღსანიშნავია დიმიტრი ნაზარიშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწის საქმიანობა. იგი 35 წლის განმავლობაში იყო ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანი, სასკოლო და სანიტარული კომისიის თვმჯდომარე, იყო საპატიო მსაჯული, მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებასა და სათავადაზნაურო ბანკის მუშაობაში. იგი იყო ხალხოსანი, პუბლიცისტი, მოაზროვნე. დიმიტრი დადიანთან ერთად იყო ქართული გაზეთის „შრომის“ დაარსების ინიციატორი და რედაქტორ-გამომცემელი.

ამჟამად დიმიტრი ნაზარიშვილის სახელს ატარებს ქუთაისში თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრი და ქუჩა, სადაც იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.



სურ. 1. სტუდენტი დიმიტრი ნაზარიშვილი



სურ. 2. დიმიტრი ნაზარიშვილი მეუღლესთან და შვილებთან ერთად

**ნაზარიშვილების საოჯახო სალონი და ინტელექტუალური გარემო.** ნაზარიშვილების ოჯახი ქუთაისის ინტელექტუალური ელიტის შეკრების ადგილი იყო. ტატიანა ანდრიუშენკოსა და დიმიტრი ნაზარიშვილის ოჯახში, სადაც ხუთი შვილი – ელენე, ისია, ლარა, ლეონიდე და ვალერიანი (სურ. 2, სურ. 3) – იზრდებოდა, მიმდინარეობდა მწვავე სჯა-ბაასი ქვეყნის კულტურული განვითარების პერსპექტივებზე. აქ ხშირად მასპინძლობდნენ აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი ზდანოვიჩსა და კირილე ლორთქიფანიძეს, რაც ოჯახს იმ დროის კულტურული მეხსიერების მატარებლად აქცევდა.

**ელენე ნაზარიშვილი: მემკვიდრეობა და მოღვაწეობა.** ელენე (ელო) ნაზარიშვილი დაიბადა 1888 წლის 26 აგვისტოს, ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ელენემ კლასიკურ გიმნაზიაში ჩააბარა გამოცდები (სურ. 4), რომლის დამთავრების შემდეგ ოჯახის მასწავლებლის წოდება მიენიჭა. უმაღლესი განათლების მისაღებად მშობლებმა ელენე ბელგიაში, ქალაქ ლიეჟში გააგზავნეს, სადაც იგი პოლიტექნიკურ

ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებოდა, მაგრამ მან პეტერბურგში დაბრუნება არჩია, სადაც ქალთა უმაღლეს პოლიტექნიკურ კურსებზე ჩააბარა. პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და ფრანგულ ენაზე კერძო გაკვეთილებსაც ატარებდა. ამის შემდეგ ელენემ სწავლა გააგრძელა პეტერბურგის ლოხვიაცია-სკალონის უცხო ენების კურსების ფრანგულ განყოფილებაზე და იმავე წელს ბეხტერევის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში თავისუფალ მსმენელად შევიდა (ბიოგრაფიული ლექსიკონი).



სურ. 3. ნაზარიშვილების ოჯახი მოწამეთის გზაზე




სურ. 4. ელო ნაზარიშვილი მეგობრებთან ერთად

პეტერბურგიდან დაბრუნებული ელენე ნაზარიშვილი ჭიათურის საქალაქო სკოლაში მასწავლებლად იქნა მიწვეული, ხოლო 1914 წელს უმაღლესი დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მისაღებად თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში გააგზავნეს. ქუთაისში დაბრუნებულმა ელენემ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფთან დაამყარა ურთიერთობა. ფრანგული ენის მცოდნე ელენე დიდ დახმარებას უწევდა მათ ფრანგი ავტორების თარგმნაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ცისფერყანწელებმა“ 1919 წელს ქუთაისში გამოცემული სტეფანე მალარმეს ლექსების კრებული სწორედ ელენე ნაზარიშვილს მიუძღვნეს (კუკულდავა, 2014:1-18).

ელენე ნაზარიშვილი წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ქუთაისის სკოლებსა და ტექნიკუმებში, თანამშრომლობდა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმთან და ეხმარებოდა მუზეუმის თანამშრომლებს საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივების შესწავლა-დამუშავებაში (ქსიმ, არქივი 2176/346).

ელენემ პირადად იმუშავა და დიდი სიყვარულით გაუკეთა მეცნიერული აღწერა გიორგი ზდანოვიჩის პირად არქივს (სურ. 5). ელენე ნაზარიშვილი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი (1916 წლიდან) და ჭიათურის განყოფილების ნამდვილი წევრი (1913 წლიდან).



სურ. 5. ელო ნაზარიშვილი ავადმყოფ გიორგი ზდანოვიჩის საწოლთან (ქობულეთი)

ნაზარიშვილების ოჯახი ყოველთვის იზიდავდა ქუთაისის ნიჭიერ ახალგაზრდობას. ეს ტრადიცია ელენეს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ შეწყვეტილა. იგი ღირსეულად განაგრძობდა სტუმართმოყვარე მამის ტრადიციებს. ხშირად იმართებოდა სალონური საღამოები, შთაბეჭდილებათა საოჯახო წიგნში დაცულია მისი მეგობრებისა და საპატიო სტუმრების (დავით კლდიაშვილის ქალიშვილი ნინო კლდიაშვილი, იოსებ ნონეშვილი, ელენე ახვლედიანი, ნიკო ბერძენიშვილი, ლევან სანიკიძე, გურამ დოჩანაშვილი, გურამ გრიგოლია, ოთარ გორდელი, მერი დავითაშვილი, ვახტანგ გიორგაძე, კაკო ბურჯანაძე, კოტე გეგელაშვილი, ლილი ნუცუბიძე, რუთა ბეროძე, პეტრე ვაჭრიძე და სხვები) ჩანაწერები. მისი ძმის შვილიშვილი თამუსია იგონებდა: ერთხელ ოჯახის წევრები დილით ჩაის სვამდნენ. სუფრის ერთ-ერთ წევრს ხმაურით მოურევია კოვზი ფინჯანში. ელენეს მკაცრად შეუხედავს, თუმცა არაფერი უთქვამს. ცოტა ხანში აივანზე გასულა და შემოსვლისას უთქვამს: მეზობელმა ჩამოიარა და მკითხა: თქვენთან ჩაის ხომ არ სვამენო? მან ასეთი ფორმით გამოხატა შენიშვნა.

ელენე არ დაოჯახებულა, მას უამრავი მოსწავლე ჰყავდა და მათ ამეცადინებდა რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ფრანულში. ცნობილია, რომ იგი მხოლოდ ქართული სკოლის მოსწავლეებს ასწავლიდა რუსულს. იგი იყო ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე.

ელენე ნაზარიშვილი გარდაიცვალა 1974 წელს ქუთაისში და დაკრძალულია „მწვანეყვავილას“ პანთეონში.

**ისია ნაზარიშვილი: ხელოვნების მუზა.** დიმიტრი ნაზარიშვილის მეორე ქალიშვილი, ულამაზესი ისია ნაზარიშვილი (სურ. 6; სურ. 7) მუნჯი კინოს ვარსკვლავი გახლდათ. იგი ქართული კინემატოგრაფიის ადრეულ პერიოდში გამოჩნდა და მონაწილეობდა შემდეგ ფილმებში: „ხანუმა“ (1926 წ.), „იბრაჰიმი და გოდერძი“, (1927 წ.), „ჯანყი გურიაში“ (1928 წ.) (ფილმოგრაფია).

როგორც კულტურული წრეების წარმომადგენელი, ის განასახიერებდა ეპოქის ესთეტიკურ იდეალებს. ისია ქართველი პოეტების შთაგონების წყარო და

„ცისფერყანწელთა“ მუზა გახლდათ. მსახიობი ქალი დაქორწინებული იყო ცნობილ ექიმზე გიორგი ხეჩინაშვილზე.



სურ. 6. ელო და ისია ნაზარიშვილები




სურ. 7. ისია კინოფილმიდან “ხანუმა“

ელენესა და ისიას მესამე და **ლარა ნაზარიშვილი** (სურ. 8) საქართველოს დემოკრატულ რესპუბლიკაში საბერძნეთის კონსულის მეუღლე იყო. 20-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საკონსულო გაუქმდა და ლარა იძულებული გახდა მეუღლეს საბერძნეთში გაჰყოლოდა, საიდანაც არ დაბრუნებულა და იქ გარდაიცვალა 1968 წელს. ნაზარიშვილების მუზეუმში ინახება ლარას წერილები, რომელსაც იგი საბერძნეთიდან უგზავნიდა თავის დებს (სურ. 9).



სურ. 8. ლარა ნაზარიშვილი ბანქოს მაგიდასთან



სურ. 9. ლარას წერილები საბერძნეთიდან



სურ. 10. ა - ლეონიდე ნაზარიშვილი; ბ - ლიდია შერბიცკაია; გ - ვალერიან (ვავა) ნაზარიშვილი

**ლეონიდე ნაზარიშვილი** (სურ. 10, ა) სამხედრო ექიმი გახლდათ, რომელიც ადრე გარდაიცვალა. მისი მეუღლე იყო ბალერინა ლიდია ფიოდორის ასული შერბიცკაია (სურ. 10, ბ), რომელმაც ქუთაისში პირველმა დააარსა საბალეტო სკოლა. იმის გამო, რომ ლიდიას არ სურდა შვილის გაჩენა, მათ შთამომავლები არ დარჩათ.

**ვალერიან (ვავა) ნაზარიშვილიც** (სურ. 10, გ) მამის მსგავსად ექიმი იყო და თბილისში ცხოვრობდა. მას ჰყავდა ორი ქალიშვილი: რიმა და ციანა.

რიმა გახლდათ კაიროს ოპერის თეატრის დამაარსებლის ირაკლი ბერიძის მეუღლე, მათი ქალიშვილი თამუსია ბერიძე ცნობილი დირიჟორისა და კომპოზიტორის ვახტანგ კახიძის მეუღლეა.

ვავა ნაზარიშვილის მეორე ქალიშვილი ციანა ქართველი კინორეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტისა და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის – გურამ პატარაიას მეუღლე გახლდათ.

**შედეგები.** მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუციონალიზაცია – დიმიტრი ნაზარიშვილის პეტერბურგული განათლება გახდა საფუძველი ქუთაისში „საექიმო-სამეცნიერო საზოგადოების“ დაარსებისა. მისი სამედიცინო პრაქტიკა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კლინიკური საქმიანობით; მან დანერგა:

- ✓ პრევენციული მედიცინა: ქოლერის ეპიდემიასთან ბრძოლა და უფასო ამბულატორიის ქსელის შექმნა.
- ✓ ფარმაკოლოგიური ინოვაცია: მალარიის სამკურნალო „ნაზარიშვილის წვეთების“ კლინიკური აპრობაცია.
- ✓ კურორტოლოგია: წყალტუბოს რესურსების სამეცნიერო კლასიფიკაცია, რაც რეგიონის ეკონომიკური განვითარების ვექტორს განსაზღვრავდა.

საოჯახო სალონი, როგორც ინტელექტუალური სივრცე – ნაზარიშვილების ოჯახის საცხოვრებელი ადგილი („უქიმერიონის გორა“) წარმოადგენდა ეპოქის მოაზროვნეთა შეკრების ადგილს. აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი ზდანოვიჩის ვიზიტები

ოჯახში არ იყო მხოლოდ პერსონალური ხასიათის; ეს იყო კულტურული და პოლიტიკური დიალოგისადა ინტერდისციპლინური დისკურსის სივრცე.

ელენე ნაზარიშვილი და კულტურული მემკვიდრეობა – მისი როლი სამუზეუმო საქმიანობაში და „ცისფერყანწელთა“ მემკვიდრეობის შენარჩუნებაში წარმოადგენს ქართული კულტურული მეხსიერების შენახვის მოდელს.

დინასტიური მემკვიდრეობა და მისი ისტორიული ტრანსფორმაცია – ოჯახის მეორე თაობის წევრების – ისია (კინემატოგრაფი), ლარა (დიპლომატიური წრეები), ლეონიდე და ვალერიანი (სამხედრო და თბილისური სამედიცინო ელიტა) – საქმიანობა ადასტურებს ოჯახის ადაპტაციას ცვალებად პოლიტიკურ რეჟიმებში. მათი პერსონალური ისტორიები, მათ შორის ემიგრაციის ფაქტორები და საბჭოთა პერიოდის ინტელექტუალური წინააღმდეგობა, წარმოადგენს ქართული ინტელიგენციის „ტრაგედიისა და აღმასვლის“ ნათელ მაგალითს.

ნაზარიშვილების ოჯახის ისტორიული ფენომენის ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი მოღვაწეობა სცდება ვიწრო ბიოგრაფიული ნარატივის საზღვრებს და წარმოადგენს XIX-XX საუკუნეების ქართული ინტელიგენციის სოციალური ადაპტაციისა და მოდერნიზაციის ნათელ მოდელს. დიმიტრი ნაზარიშვილის მიერ ქუთაისში განხორციელებული სამედიცინო რეფორმები და საზოგადოებრივი ინიციატივები არ იყო იზოლირებული ფაქტები, არამედ წარმოადგენდა იმ დროის ევროპული ლიბერალური აზროვნების ტრანსპლანტაციას ადგილობრივ ნიადაგზე.

დისკუსიის საგანია ის გარემოება, თუ როგორ ახერხებდა ერთი ოჯახი, ინარჩუნებდა რა ტრადიციულ საოჯახო სალონურ კულტურას, პარალელურად ყოფილიყო პროგრესული იდეების გამტარი. ნაზარიშვილების სახლი – „უქიმერიონის გორა“ – ფუნქციონირებდა როგორც არაფორმალური ინტელექტუალური ცენტრი, სადაც პოლიტიკური დისკურსი და სამეცნიერო პრაქტიკა ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს. მნიშვნელოვანია ელენე ნაზარიშვილის როლი ამ პროცესში; მისი, როგორც არქივარიუსისა და კულტურული მემკვიდრეობის დამცველის მოღვაწეობა, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში ხშირად გაჟღერებულ მოსაზრებას ქართული ინტელიგენციის სრულ გაუცხოებაზე საკუთარი წარსულის მიმართ. ნაზარიშვილების ოჯახის წევრთა არჩევანი – დარჩენილიყვნენ სამშობლოში და ემსახურათ განათლებისა თუ ხელოვნებისთვის იმ პირობებშიც კი, როდესაც პოლიტიკური რეჟიმი სულ უფრო მეტად ზღუდავდა ინდივიდუალურ თავისუფლებას – ადასტურებს მათ მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციას. შესაბამისად, დისკუსიის ფარგლებში შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის სტრატეგია იყო არა კონფრონტაცია, არამედ ინსტიტუციური და კულტურული უწყვეტობის შენარჩუნება, რაც რეგიონული ინტელექტუალური ცენტრების, ამ შემთხვევაში ქუთაისის მდგრადობის უმთავრესი პირობა იყო.

**დასკვნა.** კვლევამ დაადასტურა, რომ ნაზარიშვილების ოჯახი წარმოადგენდა ქუთაისის სოციო-კულტურული და სამედიცინო ევოლუციის ერთ-ერთ მთავარ ძრავას. დიმიტრი ნაზარიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა – დაწყებული პირველი საქალაქო საავადმყოფოს დაარსებითა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფით, დამთავრებული წყალტუბოს საკურორტო პოტენციალის მეცნიერული დასაბუთებით – საფუძვლად დაედო რეგიონის თანამედროვე ჯანდაცვის სისტემას. კვლევამ ასევე აჩვენა,

რომ ოჯახის მეორე თაობა, ელენე, ისია, ლარა და ვალერიან ნაზარიშვილები, ღირსეულად აგრძელებდნენ მამის ტრადიციებს, რითაც ინტელექტუალური მემკვიდრეობა დინასტიურ სტატუსში გადაიტანეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაზარიშვილების მემკვიდრეობა არ არის მხოლოდ ბიოგრაფიული ნარატივი ან ისტორიული არქივი, არამედ ეს არის ქუთაისის კულტურული და სოციალური მეხსიერების განუყოფელი ნაწილი, ის დღესაც აქტუალური ღირებულებათა სისტემაა, რომელიც ეფუძნება ცოდნის პატივისცემას, ქველმოქმედებას და სამშობლოსადმი უპირობო ერთგულებას. მათი თავდადება მეცნიერების, ხელოვნებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი დღესაც რჩება სამაგალითოდ, ხოლო დიმიტრი ნაზარიშვილის მემკვიდრეობის გადაცემა ქალაქისთვის მიუთითებს ოჯახის მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე. ქუთაისის ურბანულ სივრცეში მათი სახელის მატარებელი ობიექტები და მწვანეყვავილას პანთეონში განსვენება მათი საზოგადოებრივი აღიარების სიმბოლური დასტურია.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ნაზარიშვილების ოჯახის საქმიანობა აუცილებელია გახდეს უფრო ფართო ინტერდისციპლინური კვლევების საგანი, რაც საქართველოს კულტურული ისტორიის ახალ, აქამდე ნაკლებად შესწავლილ რაკურსებს წარმოაჩენს. ნაზარიშვილების ოჯახის ისტორია გვარწმუნებს, რომ ერის ინტელექტუალური სიძლიერე სწორედ ასეთ ოჯახურ კერებზე დგას, რომლებიც დროის გამოცდას უძლებენ და მომავალი თაობებისთვის სამაგალითო მორალურ და პროფესიულ ორიენტირებს ტოვებენ.

## გამოყენებული ლიტერატურა


**გოგუაძე** ა., დიმიტრი ნაზარიშვილი, თბილისი, 1960, გვ. 19. http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00017430/

**ჯავახიშვილი** დ., კურორტ წყალტუბოს, გრუზმედგაზის განვითარების ისტორიის შესახებ, 1954 გვ. 20-35).

**კუკულდავა** თ., მახარაძე ლ., დიმიტრი ნაზარიშვილი 160. ქუთაისი 2014 გვ. 1-18.

**ქუთაისის** სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, დ. ნაზარიშვილის არქივი 2176/346.

**მხეიძე** მ, მხეიძე ნ., „მწვანეყვავილას“ მწვანე ბორცვებზე. - ქუთაისი, „საბჭოთა საქართველო“, 1985.

**ფილმოგრაფია** - ისია ნაზარიშვილი. feola.ge https://feola.ge › msaxiobi

**საქართველოს** პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიოგრაფიული ლექსიკონი)


## REFERENCES:


**goguadze** a., dimit'ri nazarishvili, tbilisi, 1960. http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00017430/

**javakhishvili** d., k'urort' ts'qalt'ubos, gruzmedgazis ganvitarebis ist'oriis shesakheb, 1954: 20-35.

**k'uk'uldava** t., makharadze l., dimit'ri nazarishvili 160. kutaisi 2014: 1-18.

**kutaisis** sakhelmts'ipo ist'oriul - etnograpiuli muzeumi, d. nazarishvilis arkivi 2176/346.

**mkheidze** m, mkheidze n., „mts'vaneqvavilas“ mts'vane bortsvebze. - kutaisi, "sabch'ota sakartvelo", 1985.

**pilmograpia** - isia nazarishvili. feola.ge https://feola.ge › msaxiobi

**sakartvelos** p'arlament'is erovnuli bibliotek'is biograpiuli leksik'oni.

**მადლიერება:**

*ფოტოებისა და მასალების მოწოდებისათვის დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ ნაკრძალის, დიმიტრი ნაზარიშვილის მემორიალური მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალისტს ლელა მახარაძეს.*